Fasadfarba Profi	2018

Knauf Fasadfarba Profi

სილიკონ-მოდიფიცირებული დისპერსიული ფასადური საღებავი

აღწერილობა

საღებავს Knauf Fasadfarba Profi გააჩნია თანაბარი განღვრის უნარი, დაფარვის უნარი, კარგი შეჭიდება შესაღებ ზედაპირთან, ის მდგრადია ცვეთისა და ბზარების წარმოქმნის მიმართ. მნიშვნელოვნად ზრდის ფასადის ატმოსფერმედეგობას, ტენმედეგობას და გამოსადეგობის ვადას. სილიკონის დანამატების წყალობით ის ღრმად შეიწოვება ფუძეშრის ფორებში და ამით თავიდან აცილებული იქნება წვიმის წყლის და შხეფების შეღწევა შენობაში. ამავე დროს საფარი ატარებს წყლის ორთქლს, რაც შენობას “სუნთქვის” საშუალებას აძლევს. ბიოციდური დანამატების წყალობით ეს საღებავი იცავს ზედაპირს ობის და სოკოს გაჩენისგან.

გამოყენების სფერო

სილიკონ - მოდიფიცირებული დისპერსიული ფასადური საღებავი Knauf Fasad Profi გამოიყენება საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო, სამრეწველო და სასაწყობო ფართების შეღებვისთვის. გამოიყენება ბერონის და მყარი მობათქაშებული ფასადების მოპირკეთებისთვის. შეიძლება გამოყენებულ იქნას თბოსაიზოლაციო კომპლექსურ სისტემებში საფარი საღებავის სახით. სამრეწველო ან განსაკუთრებით ტენიანი გარემოს პირობებშიც კი საფარი საიმედოდ იცავს ზედაპირს ტენისგან. განსაკუთრებით შესაფერისი გადაწყვეტილებაა, როდესაც საჭიროა კარგი ორთქლშეღწევადობის მქონე ჰიდროფობური შეღებილი ზედაპირის მიღება. შეიძლება გამოყენებულ იქნას ფართებში მაღალი ტენიანობის რეჟიმით.

უპირატესობები

- ატმოსფერმედეგობა
- მდგრადი ცვეთის მიმართ
- მდგრადი უი-გამოსხივების მიმართ
- წყალმედეგი, მედეგი დაბიძნურების მიმართ
- ხელს უშლის სოკოს და ობის წარმოქმნას ზედაპირებზე
- მაღალი გაუმჭვირვალობა
- მარტივი დატანა
- მედეგობა დაბალი ტემპერატურების ზემოქმედების მიმართ
- საფარის აფსკის სიმტკიცე.
- გააჩნია ხანგრძლივი გამოსადეგობის ვადა.

Knauf Fasadfarba Profi

სილიკონ-მოდიფიცირებული დისპერსიული ფასადური საღებავი

ზედაპირის მომზადება

საფუძველი უნდა იყოს მყარი, მშრალი, მტვერის, ცხიმიანი ლაქების და ობის გარეშე. დაუშვებელია საღებავის დატანა გაყინულ საფუძველზე. საფუძველის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4%, თაბაშირის საფუძველის შემთხვევაში - 1%. ახალი ცემენტის და ცემენტ-კირის ბათქაშებზე საღებავის დატანა შესაძლებელია სულ მცირე მობათქაშებიდან 4 კვირის შემდეგ, თაბაშირის ბათქაშებზე - სულ მცირე 2 კვირის შემდეგ, თაბაშირმუყაოს ზედაპირებზე და თაბაშირის ფილებზე - საფითხნის გაშრობის, გაპრიალების და მტვერის მოცილების შემდეგ. სოკოთი და ობით დაზიანებული ზედაპირები შეღებვამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს ანტისეპტიკური გრუნტით. ძველი საღებავის მოცილება ხდება მექანიკურად: ფასადი უნდა საგულდაგულოდ გასუფთავდეს მტვერისგან, ჭუჭყისგან, ცხიმისგან და დაიგრუნტოს გრუნტით Knauf Tiefengrund. წვრილმანი დეფექტების მოცეილება ხდება ფასადური საფითხნით Knauf Fassadenspachtel, შეფითხნული უბნები უნდა დაიგრუნტოს. მყარი საფუძვლები შეღებვამდე უნდა დაიგრუნტოს გრუნტით Knauf Basisgrund, მცარცავი ზედაპირები უნდა დაიგრუნტოს გრუნტით Knauf Tiefengrund.

რეკომენდაციები

გამოყენებამდე ხდება საღებავის Knauf Fasadfabra Profi საგულდაგულოდ მორევა და შემდეგ დატანა ლილვაკით, ფუნჯით ან საფრქვევით 2 ფენად, 2-4 საათის ინტერვალით (ფართში არსებული ტემპერატურის და ტენიანობის მიხედვით). ახალი შემწოვი საფუძვლების პირველი შეღებვისათვის დასაშვებია საღებავის გაზავება 10 %-ით გრუნტით Knauf Basisgrund. წინასწარ დაგრუნტული ზედაპირების შეღებვა ხდება გაუზავებელი საღებავით. უჰაერი დაფრქვევისას: დაფრქვევის კუთხე - 50°; ფრქვევანა 0.021-0.026"; წნევა 150-180 ბარი. ხილული ზედდების თავიდან აცილების მიზნით საღებავის დატანა ხდება ტექნიკით „სველით სველზე", ერთი მიდგომით. სამუშაოების დასრულების შემდეგ ინსტრუმენტები უნდა გაირეცხოს წყლით.

ინსტრუმენტები: მცირებრუნვიანი მიქსერი, ფუნჯი, ლილვაკი, საღებავ-პულტი.

ტექნიკური მახასიათებლები

- ბზინვარების ხარისხი: გლუვი
- დატანა: ლილვაკი, ფუნჯი, ჰაეროვანი და უჰაერო დაფრქვევა
- წინასწარი ხარჯი:

  გლუვი ზედაპირი – 100 მლ/მ^2

  მქისე საფუძველი - 220 მლ/მ^2
- ერთი ფენის გაშრობა: (t 20oC და ტენიანობა 60%) – 3 საათი.
- სრული გაშრობა – 12 საათი
- მდგრადობა ტენიანი გაცვეთისადმი – 1 კლასი DIN EN 13300 მიხედვით.
- ორთქლშეღწევადობა -0.094 ŋ
- (PN EN ISO 7783-2)
- გაუმჭირვალობა – 4 კლასი DIN EN 13300 მიხედვით
- ბაზა - A (თეთრი)
- ბაზა C (გამჭვირვალე)

დამატებითი მითითებები

- საფუძველის და გარემოს ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ +5°C
- მოერიდეთ მტვრის წარმოქმნას იმ საფუძველებთან სიახლოვეს, სადაც გამოიყენება საღებავი, რათა თავიდან აცილებულ იქნას მტვრის დადება ზედაპირებზე.
- არ შეურიოთ საღებავი Knauf Fasadfarba Profi სხვა მასალებთან, რათა თავიდან აცილებულ იქნას მასალის თვისებების შეცვლის რისკი.
- უჰაერო დაფრქვევის მეთოდით დატანისას საღებავი კარგად მოურიეთ და გაატარეთ საცერში.

ყურადღება!

ეს ტექნიკური ფურცელი განსაზღვრავს მასალის გამოყენების ზღვარს და სამუშაოების შესრულების რეკომენდირებულ მეთოდს, რაც არ ცვლის შემსრულებლის პროფესიულ მომზადებას. მითითებული რეკომენდაციების გარდა, მოსაპირკეთებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმების და შრომის უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესაბამისად. მწარმოებელი იძლევა ნაკეთობის ხარისხის გარანტიას, რაც არ მოქმედებს მისი გამოყენების მეთოდზე და პირობებზე.

უსაფრთხოების ზომები
მასალის თვალებში მოხვედრისას დაიბანეთ თვალები ჭარბი რაოდენობის წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. მასალა შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

შეფუთვა და შენახვა

საღებავის Knauf Fasadfarba Premium დაფასოება ხდება 5 და 10 ლიტრიან სათლებში.

გაუხსნელ და დაუზიანებელ შეფუთვაში შენახვის დასაშვები ვადა შეადგენს 24 თვეს წარმოების დღიდან. ინახება მშრალ ადგილზე ტემპერატურით არანაკლებ 5°C. მოარიდეთ პირდაპირი მზის სხივების და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებას, არ დაუშვათ გაყინვა.

ტელ.: +995 32 224 25 02/03

www.knauf.ge

info@knauf.ge

კნაუფ გიპს თბილისი

თბილისი 0182, ქიზიყის ქ. 17

მწარმოებელი იტოვებს უფლებას შეიტანოს ტექნიკური ცვლილებები. მოცემული მომენტისთვის ძალაშია ფაქტიური გამოცემა. ჩვენი გარანტია ეხება მხოლოდ ჩვენი მასალების ხარისხს. გაზავების და ხარჯის მონაცემები მიეკუთვნება ექსპერიმენტულ კატეგორიას და ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს პირობების ცვლილების შემთხვევაში. ყველა უფლება დაცულია. შეცვლა, თავიდან გამოცემა, და ასევე ფოტომექანიკური ან ელექტრონული კვლავწარმოება, მათ შორის შემოკლებული სახით, საჭიროებს ფირმა Knauf Gips SRL-ს (ქ. ბელცი, შტეფან ჩელ მარეს ქუჩა 178) ნებართვას.

კნაუფის სისტემების კონსტრუქციული, სტრატეგიული და სამშენებლო - ფიზიკური თვისებების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კნაუფის ფირმის მასალების გამოყენებისას ფირმა კნაუფის მიერ რეკომენდირებული პროდუქციით.